

**მომხმარებლის
სახელმძღვანელო**

**მტვერსასრუტი
D-2000 Multi**

DEXP

სარჩევი

მოწყობილობის დანიშნულება	4
უსაფრთხოების ზომები	4
უსაფრთხოების ტექნიკის წესები	4
რისკი ბავშვებისთვის	4
ელექტრომოკის რისკი	4
უსაფრთხოების ზომები გამოყენებისას	5
უსაფრთხოების ზომები გაუმართაობისას	5
მოწყობილობის სქემა 5	
გამოყენების ინსტრუქცია	5
მოწყობილობის აწყობა	5
მილის და საცმების დაყენება 5	
მოწყობილობის ექსპლუატაცია	8
წმენდა და მოვლა	9
მტვრის შემგროვებლის წმენდა	9
ფილტრის წმენდა	10
შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა	10
ტექნიკური მახასიათებლები	11
კომპლექტაცია	11
მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები	11
დამატებითი ინფორმაცია	12

ძვირფასო მომხმარებელო!

მადლობას გიხდით ჩვენი პროდუქციის არჩევისთვის.

სიამოვნებით გთავაზობთ პროდუქციას, რომელიც შემუშავებულია და დამზადებულია ხარისხის, ფუნქციონალურობისა და დიზაინის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ექსპლუატაციის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ ეს სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას თქვენი უსაფრთხოების შესახებ, ასევე რეკომენდაციებს პროდუქტის სწორად გამოყენებისა და მასზე ზრუნვის შესახებ. გთხოვთ, იზრუნოთ ამ სახელმძღვანელოს შენახვაზე და გამოიყენოთ იგი საცნობარო მასალად პროდუქტის შემდგომი ექსპლუატაციის დროს.

მოწყობილობის დანიშნულება

მტვერსასრუტი განკუთვნილია სხვადასხვა ზედაპირიდან (მეტლახის ან პარკეტის იატაკი; რბილი ავეჯი, ხალიჩები და ა.შ.) მტვრისა და ჭუჭყის მოსამორებლად.

უსაფრთხოების ზომები

უსაფრთხოების ტექნიკის წესები

არ გამოიყენოთ შემდეგ სიტუაციებში:

- სამშენებლო ნარჩენების დასუფთავება.
- საწვავის ან აალებადი ნივთიერებების გაწმენდა.
- ძალიან წვრილი მტვრის (მაგ. ბეტონის მტვრის) ან ტონერის გაწმენდა.
- მყარი ან ბასრი საგნების, მაგალითად, მინის დიდი ნამსხვრევების, გაწმენდა.
- ცეცხლმოკიდებული ან კვამლის შემცველი ნივთების, როგორცაა სიგარეტი, ასანთი ან ფერფლი, გაწმენდა.
- სველი ან ნესტიანი ზედაპირების გაწმენდა (მაგალითად, ხალიჩები სველი წმენდის შემდეგ).

რისკი ბავშვებისთვის

- შეინახეთ მოწყობილობა და შეფუთვა ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დაზიანება ან ელექტროშოკი.
- ეს მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვების ან შეზღუდული ფიზიკური, ფიზიოლოგიური ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, ან გამოცდილებისა და/ან ცოდნის ნაკლებობის მქონე პირების მიერ, თუ მათ არ აქვთ ზედამხედველობა ან ინსტრუქცია მოწყობილობის სწორად გამოყენების შესახებ მათი უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ.

ელექტროშოკის რისკი

- არ გამოიყენოთ მტვერსასრუტი შენობის გარეთ.
- მოწყობილობა მხოლოდ დამიწებულ როზეტთან შეაერთეთ.

- მოწყობილობის შეერთებამდე დარწმუნდით, რომ მასზე მითითებული ძაბვა ემთხვევა თქვენი ადგილობრივი ელექტრომომარაგების ძაბვას.
- არ გამოიყენოთ მტვერსასრუტი ჭექა-ქუხილის დროს.
- არ ჩაყოთ მტვერსასრუტი ან დენის კაბელი წყალში ან სხვა სითხეებში.
- არ შეეხოთ მტვერსასრუტს და შტეფსელს სველი ხელებით და არ გამოიყენოთ მოწყობილობა მაღალი ტენიანობის მქონე ოთახში. შეინახეთ მოწყობილობა მშრალ ადგილას.
- არ გადაიტანოთ ან არ მოქაჩოთ მტვერსასრუტი დენის კაბელისთვის. არ გადაადგილოთ მტვერსასრუტი ელექტრო სადენზე მოქაჩვით დარწმუნდით, რომ კაბელი არ არის მოჭერილი კარებით ან არ არის გაჭედილი ბასრ კიდეებზე ან კუთხეებში. დენის სადენი მოარიდეთ ცხელ ზედაპირებს.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ სცადოთ მტვერსასრუტის დამოუკიდებლად შეკეთება. მოწყობილობის (მათ შორის კვების კაბელის) შეკეთება უნდა განახორციელონ ავტორიზებული სერვის ცენტრის სპეციალისტებმა.


უსაფრთხოების ზომები გამოყენებისას

- მტვერსასრუტი არ არის განკუთვნილი კომერციული გამოყენებისთვის. მტვერსასრუტი განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სრულად არის აწყობილი და ფილტრი ადგილზეა.
- რეგულარულად გაწმინდეთ ფილტრი, რათა თავიდან აიცილოთ მასში წვრილი მტვრის დაგროვება. მტვრის ფილტრი მის შეცვლამდე მთლიანად მშრალი უნდა იყოს.
- ქსელში ჩართული დენის სადენი ისე უნდა განთავსდეს, რომ არ არსებობდეს მასზე წაბორძიკების რისკი.
- არაფერი ჩადოთ მტვერსასრუტის ღიობებში/საქმენებში და დარწმუნდით, რომ ისინი არაფრით არის დაბლოკილი.
- არ დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უყურადღებოდ.
- მოწყობილობასთან მუშაობის შეწყვეტისას და მისი დასრულებისას, ასევე საცემების გამოცვლამდე, გამორთეთ მოწყობილობა და გამოართეთ იგი ელექტროქსელიდან.
- დაიცავით მოწყობილობა გათბობისგან, ღია ცეცხლისგან, მზის პირდაპირი სხივებისგან და დარტყმებისგან. არ დააგდოთ მოწყობილობა.

უსაფრთხოების ზომები გაუმართაობისას.

- თქვენი უსაფრთხოებისთვის, შეამოწმეთ მოწყობილობა ყოველი გამოყენების წინ. გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში, მოწყობილობის გამოყენება არ შეიძლება მანამ, სანამ ის არ იქნება შეკეთებული კვალიფიციური სპეციალისტის მიერ. დენის სადენის დაზიანების შემთხვევაში, ის უნდა შეიცვალოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ, ჯანმრთელობისთვის შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად.
- დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა დენის წყაროდან, თუ ის დაზიანებულია ან მუშაობის დროს გაუმართაობა აქვს. მიმართეთ უფლებამოსილ სერვის ცენტრს.

მოწყობილობის სქემა



1. საცმი "ხალიჩა/იატაკი".
2. მილი.
3. სახელური.
4. ჰაერის ნაკადის წნევის რეგულატორი.
5. მოქნილი შლანგი
6. მტვრის კონტეინერის გახსნის დილაკი.
7. ფილტრის საკეტი
8. მტვრის კონტეინერის მოხსნის დილაკი.
9. კვების დილაკი.
10. კვების კაბელის დახვევის დილაკი.
11. მტვრის კონტეინერი.
12. ჰაერის შემშვები ხვრელი.

გამოყენების ინსტრუქცია


მოწყობილობის აწყობა

მოქნილი შლანგის შეერთება.

ჩადეთ მოქნილი შლანგი ჰაერმიმღებ ხვრელში. მოაბრუნეთ საათის ისრის მიმართულებით დაფიქსირებამდე.




მოქნილი შლანგის მოხსნა.

მოაბრუნეთ მოქნილი შლანგი საათის ისრის საწინააღმდეგოდ და ფრთხილად მოწიეთ იგი ჰაერმიმღები ხვრელიდან.






მილის და საცმების დაყენება.

1. ავეჯის საცმის ან ნაპრაღის საცმის გამოყენებისას, მიაერთეთ საცმი შლანგის სახელურზე.
2. ხალიჩა/იატაკის“ საცმის გამოყენებისას, შეაერთეთ მილი შლანგის სახელურზე, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.
3. ხალიჩა/იატაკის“ საცმი მიაერთეთ მილზე.



მოწყობილობის გამოყენება

1. გაშალეთ დენის სადენი და შეაერთეთ ელ. ჩანგალი როზეტში. არ მოქაჩოთ სადენი წითელი შემზღუდველი ნიშნულის გამოჩენის შემდეგ.





2. საჭიროების შემთხვევაში დააყენეთ საცმი.
3. დააჭირეთ კვების ღილაკს მოწყობილობის ჩასართავად. მოწყობილობა მზად არის გამოყენებისთვის.
4. მოწყობილობის გამოყენების დასრულების შემდეგ, დააჭირეთ ჩართვის ღილაკს, გამორთეთ იგი ქსელიდან და დააჭირეთ სადენის დასახვევ ღილაკს. მიმართეთ სადენი ისე, რომ ის არ გადაგრისოს ან დაზიანდეს. საცმების გამოყენება


საცმი "ხალიჩა/იატაკი"

ჯაგრისის გასაშლელად/მოსახსნელად გადართეთ საცმის გადამრთველი ორი შესაძლო პოზიციიდან ერთ-ერთზე.

- ჯაგრისიანი საცმი გამოდგება ხალიცების გასაწმენდად.
- საცმი ჯაგრისის გარეშე გამოდგება ბრტყელი ზედაპირების




დასალაგებლად.



ნაპრაღის საცმი.


ნაპრაღისებრი საცმი განკუთვნილია ვიწრო, ძნელად მისადგომ ადგილებში



ნარჩენებისა და მტვრის გასაწმენდად: რადიატორის სექციებს შორის, კუთხეებში, უჯრებში და ა.შ.


ავეჯის საცმი

ეს საცმი განკუთვნილია ავეჯიდან და მყარი ზედაპირებიდან მტვრის გასაწმენდად.




წმენდა და მოვლა

- გაწმენდისწინ ყოველთვის გამოორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან.
- არ გამოიყენოთ სპირტი, საპონი, ცხელი წყალი და გამხსნელები საწმენდად.



- რეგულარულად გაწმინდეთ მოწყობილობა და აქსესუარები ნესტიანი ქსოვილით. მიეცით მათ გამრობის საშუალება, სანამ ხელახლა გამოიყენებთ მოწყობილობას ან შეინახავთ.

მტვრის კონტეინერის წმენდა.



5. ამოიღეთ მტვრის კონტეინერი შესაბამის დილაკზე დაჭერით.
6. მტვრის კონტეინერი დაიჭირეთ ნაგვის ურნის ზემოთ და დააჭირეთ გალების დილაკს მის დასაცლელად.
7. დააბრუნეთ მტვრის კონტეინერი ადგილზე; სწორად დაყენებისას გაიგონებთ დაწყაპუნების ხმას.

ფილტრის წმენდა

1. მოხსენით მტვრის კონტეინერი. გახსენით საკეტი და ამოიღეთ ფილტრი.
2. ხელახლა დაყენებამდე ფილტრი წყლით გარეცხეთ და კარგად გააშრეთ. საჭიროების შემთხვევაში გამოცვალეთ იგი.

შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა.

პრობლემა	გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტი
მტვერსასრუტი არ ირთვება	დარწმუნდით, რომ მოწყობილობა საიმედოდ არის დაკავშირებული დენის წყაროსთან: ამოიღეთ შტეფსელის ჩანგალი როზეტიდან, შემდეგ ხელახლა შეაერთეთ და დააჭირეთ ჩართვის ღილაკს.
შესრუტვა ძალიან სუსტია	ფილტრი დაბინძურებულია გაწმინდეთ ის „ფილტრის გაწმენდა“ განყოფილების მიხედვით.
	გაჭედვა შეწოვის ხვრელში ან საცმში გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან და გაწმინდეთ.
ჩართვისას მტვერსასრუტი გამოსცემს უცნაურ ხმას.	გამორთეთ მტვერსასრუტი, შეამოწმეთ დაბინძურების არსებობსა და საჭიროების შემთხვევაში გაწმინდეთ იგი

ტექნიკური მახასიათებლები

- მოდელი: D-2000 Multi.
- სავაჭრო ნიშნანი: DEXP.
- ქსელის პარამეტრები: 220–240 ვ ~ 50/60 ჰც.
- შეწოვის სიმძლავრე: 350 ვტ
- ენერგომომხმარება: 2000 ვატი.
- მტვრის კონტეინერის მოცულობა: 2 ლ.
- მტვრის შემგროვებლის ტიპი: კონტეინერი
- ფილტრის ტიპი: ციკლონური.
- ელექტროშოკისგან დაცვის კლასი: II.
- მტვრისა და ტენისგან დაცვის ხარისხი: IP20
- კვების კაბელის მიმაგრების ტიპი: Y.
- დენის სადენის სიგრძე: 4,5 მ.
- ხმაურის დონე: 80 დბ.
- მასა ნეტო: 5,1 კგ.
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო.

კომპლექტაცია

- მტვერსასრუტი.
- ტელესკოპური მილი
- მოქნილი შლანგი.
- საცმი "ხალიჩა/იატაკი"
- ნაპრალის საცმი.
- ავეჯის საცმი
- მომხმარებლის სახელმძღვანელო.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: ნინგბო დაიხუა ელექტრიკ აპლაიენს კო., ლტდ.

No2008, შინანის ძველ გზატკეცილზე, სიაოდუნის სამრეწველო ზონა, იუიაო, ნინბო, პროვინცია ჟუჟიანგი, ჩინეთი.

Manufacturer: Ningbo Dahua Electric Appliance Co., Ltd.

No.2008 Shinan West Road, Xiaodong Industrial Zone, Yuyao City, Ningbo City, Zhejiang Province, P.R.China.

დამზადებულია ჩინეთში

იმპორტიორი საქართველოში: შპს არგო ელექტრონიქს ს/კ 405791674

აქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული

info@dns-shop.ge

პროდუქტი შეესაბამება საბაჟო კავშირის (EAEC) მოთხოვნებს.

სპეციფიკაციები, კომპლექტაცია, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი ვიზუალური სახე შესაძლოა შეიცვალოს წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.



წარმოების თარიღი: _____

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI:

გარანტიის დაწყების თარიღი:

მწარმოებელი გარანტიას იძლევა მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობაზე მთელი გარანტიის პერიოდის განმავლობაში, ასევე მასალებისა და მუშაობის დეფექტების არარსებობაზე. საგარანტიო ვადა ითვლება პროდუქტის შექმნის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე.

საგარანტიო მომსახურება მოიცავს უფასო შეკეთებას ან იმ ელემენტების შეცვლას, რომლებიც გამოვიდა მწყობრიდან მომხმარებლის ბრალის გარეშე, საგარანტიო ვადის განმავლობაში, იმ პირობით, რომ პროდუქტი გამოიყენებოდა მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად. შეკეთება ან ელემენტების შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვის ცენტრების ტერიტორიაზე.

გარანტიის ვადა: 36 თვე.

ექსპლუატაციის ვადა: 48 თვე.

გარანტიის ვალდებულებები და უფასო სერვისის არ ვრცელდება პროდუქტის კომპლექტში შემავალ შემდეგ აქსესუარებზე, თუ მათი ჩანაცვლება არ გულისხმობს პროდუქტის დაშლას:

- დისტანციური მართვისთვის განკუთვნილი კვების ელემენტები (ბატარეები).
- შემაერთებული კაბელები, ანტენები და მათთვის ადაპტერები, ყურსასმენები, მიკროფონები, ხელების გარეშე მოწყობილობები; სხვადასხვა ტიპის შენახვის საშუალებები, პროგრამული უზრუნველყოფა და დრაივერები, რომლებიც მოყვება კომპლექტს (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, პროდუქტის მყარ დისკზე წინასწარ დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფა), გარე შეყვანა/გამოყვანის მოწყობილობები და მანიპულატორები.
- ქეისები, ჩანთები, ქამრები, სამონტაჟო აქსესუარები, ხელსაწყოები, დოკუმენტაცია, რომლებიც პროდუქტს მოყვება.
- სახარჯი მასალები და ნაწილები, რომლებიც ექვემდებარება ბუნებრივ ცვლას.



მწარმოებელი არ იღებს გარანტიის ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

- გარანტიის ვადა ამოიწურა.
- თუ პირადი (საყოფაცხოვრებო, ოჯახური) საჭიროებებისთვის განკუთვნილი პროდუქტი გამოიყენებოდა სამეწარმეო საქმიანობისთვის, ასევე სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება მის დანიშნულებას.
- მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი რაიმე შესაძლო მატერიალურ, მორალურ ან სხვა ზიანზე, რომელიც მიადგება პროდუქტის მფლობელს და/ან მესამე მხარეებს გამოყენების დროს მომხმარებლის სახელმძღვანელოს მოთხოვნების დარღვევის, პროდუქტის მონტაჟისა და მოვლა-პატრონობის რეკომენდაციების შეუსრულებლობის, შეერთების წესების (მოკლე ჩართვის შემთხვევები, რომლებიც ასევე წარმოიქმნება არასათანადო ქსელის ძაბვის ზემოქმედების შედეგად, როგორც თავად პროდუქტზე, ასევე მასთან დაკავშირებულ პროდუქტებზე), პროდუქტის შენახვისა და ტრანსპორტირების გამო.
- მექანიკური დაზიანების ყველა შემთხვევა: ნაპრალები, ბზარები, დეფორმაციები, დარტყმის კვალი, ჩაღრმავებები, ნაკეცი და ა.შ., რომლებიც მიღებულია პროდუქტის ექსპლუატაციის დროს.
- არსებობს მესამე მხარის მიერ მოდიფიკაციის კვალი, არავტორიზებული შეკეთება იმ პირების მიერ, რომლებსაც არ აქვთ უფლებამოსილება განახორციელონ ასეთი სამუშაოები. თუ დეფექტი გამოწვეულია მოწყობილობის კონსტრუქციის ან სქემის ცვლილებით, მწარმოებლის მიერ არ გათვალისწინებული გარე მოწყობილობების მიერთებით ან ისეთი მოწყობილობის გამოყენებით, რომელსაც ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამისობის სერტიფიკატი არ გააჩნია.
- თუ პროდუქტის დეფექტი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (სტიქიური მოვლენები, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, საყოფაცხოვრებო ფაქტორები და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული მწარმოებელზე), ან მესამე პირების ქმედებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინება მწარმოებელს არ შეეძლო.
- დეფექტი გამოწვეულია მოწყობილობის შიგნით უცხო საგნების, უცხო სხეულების, ნივთიერებების, სითხეების, მწერების ან ცხოველების მოხვედრით, აგრესიული გარემოს ზემოქმედებით, მაღალი ტენიანობით ან მაღალი ტემპერატურით, რამაც გამოიწვია მოწყობილობის სრული ან ნაწილობრივი მწყობრიდან გამოსვლა.
- არ არის ან არ შეესაბამება პროდუქტის იდენტიფიკაცია (სერიული ნომერი). თუ დაზიანება (დეფექტები) გამოწვეულია მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ზემოქმედებით; პაროლების (კოდების) ინსტალაცია, შეცვლა ან წაშლა, რაც იწვევს პროდუქტის პროგრამულ რესურსებზე წვდომის არარსებობას, მათი გადატვირთვის/აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, პროგრამული უზრუნველყოფის მიმწოდებლის მიერ ამ სერვისის მიწოდების არარსებობის გამო.
- თუ ექსპლუატაციის დეფექტები გამოწვეულია ელექტროენერჯის მიწოდების, საკაბელო, სატელეკომუნიკაციო ქსელების, რადიოსიგნალის სიმძლავრის სტანდარტების ან ტექნიკური რეგულაციების შეუსრულებლობით, მათ შორის რელიეფის მახასიათებლებისა და სხვა მსგავსი გარე ფაქტორების გამო, პროდუქტის საზღვარზე ან ქსელის დაფარვის ზონის გარეთ გამოყენებით.
- თუ დაზიანება გამოწვეულია არასტანდარტული (არაორიგინალური) და/ან დაბალი ხარისხის (დაზიანებული) სახარჯი მასალების, აქსესუარების,



